ინვესტიციის ცნების მნიშვნელობა საერთაშორისო და ქართულ საინვესტიციო სამართალში

თამარ ქემოკლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს)სამართალი

ხელმძღვანელი: ირინა აღაპიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

თამარ ქემოკლიძე

01.07.2016

აბსტრაქტი

საინვესტიციო სამართლის ფუნდამენტს თავად ინვესტიცია წარმოადგენს, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთე. აქედან გამომდინარე ცალსახაა, რომ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროა ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება.

ნაშრომის მთავარი თემატიკა უკავშირდება ინვესტიციასა და მის განმარტებას, რადგან არ არსებობს ინვესტიციის ერთიანი უნიფიცირებული ცნება, რაც ქმნის არაერთგვაროვან პრაქტიკასა და მიდგომებს.

ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრისა და მისი კონვენციის როლი ინვესტიციებთან მიმართებაში, როგორც მრავალმხრივი და უნივერსალური მექანიზმი.

ამავდროულად მიზანშეწონილია მრავალფეროვანი პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, რათა გავცეთ პასუხი კითხვას, წარმოადგენს თუ არა ინვესტიციის ცნების არარსებობა პრობლემას და დავადგინოთ ის კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც დგინდება სახეზე არის თუ არა ინვესტიცია.

გავეცნობით როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ საინვესტიციო სამართალს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღნიშნული სფერო ნაკლებად არის განვითარებული, ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, ამიტომ მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოს კანონმდებლობა ინვესტიციებთან დაკავშირებით.

Abstract

The fundamental of the Investment Law is an investment itself, as the most important legal goodness. Hence it is unequivocal ,(according to the states'interests),that there is a necessity of legal regulation of investments.

The main theme of this work is related to the definition of investment, because there is not a general unified notion the word above, so this fact makes it necessary to create variety of practice and methods of approach.

It's important for the purposes of the work that the role of the International Centre for Dispute Resolution and its convention to be outlined, as the multilateral and universal mechanism, of course it should be done regarding to investments.

At the same time a discussion of multifarious non precedential law is recommended, in order to answer the question whether the existence of the notion of investment is a problem or not and determine the criteria with which it will be possible to ascertain have we got an investment or not.

It's also recommended to look through the International Investment Law as well as the Georgian Investment Law. In spite of the fact that this sphere is less developed in Georgia, our country still faces the important challenges, that's why it is expedient to consider the Georgian Legislation, regarding to investments.

აბრევიატურის ჩამონათვალი

ICSID Convention	საერთაშორისო დავების მოგვარების კონვენცია
ICSID	საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრი
BIT	ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება
ECT	ენერგეტიკის ქარტია (ენერგო ქარტია)
NAFTA	ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება
IBRD	რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი
IDA	საერთაშორისო განვითარების ასოციაცია
MIGA	ინვესტიციების გარანტირების საერთაშორისო სააგენტო
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
FET	სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა
MFN	უპირატესი მოპყრობის რეჟიმი